

საია-ს შეფასება საგანგებო მდგომარეობასთან
დაკავშირებით მიღებულ საკანონმდებლო
ცვლილებებზე

საია-ს შეფასება საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე

23 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ქვეყნის ტერიტორიის დაცვის შესახებ კანონში. საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრა იზოლაციისა და კარანტინის წესების, ასევე, საგანგებო მდგომარეობის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული რეგულაციების დარღვევის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებით, ამ ქმედებათა განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, დადგინდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტთან დაკავშირებით ინფორმაცია 2020 წლის 17 მარტს გავრცელდა და ამავე დღეს დარეგისტრირდა პარლამენტში, თუმცა ის არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი 2020 წლის 13 აპრილამდე, სანამ პარლამენტის ბიურომ არ გადასცა განსახილველად შესაბამის კომიტეტს. ამ პერიოდში არ იყო უზრუნველყოფილი კანონპროექტის გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის და მასთან დაკავშირებით შესაბამისი შენიშვნების წარმოდგენის შესაძლებლობა.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ კანონპროექტი განიხილა მხოლოდ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა და მის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, რომლის მონაწილეობა ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო. შესაბამისად, საკანონმდებლო პროცესი წარმართა დახურულად და არ ყოფილა მასში რაიმე ფორმით მონაწილეობის შესაძლებლობა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილება ადგენს, რომ როგორც იზოლაციის ან/და კარანტინის წესის, ისე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავენ, ოქმს ადგენენ და სახდელს შეუფარდებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ასევე პრეზიდენტის დეკრეტითა და მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ორგანოები. ვფიქრობთ, რომ ამ ტიპის სამართალდარღვევებზე, რომლებიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენებისთვის პრეიუდიციული მნიშვნელობისაა და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი შინაარსი გააჩნია, **პასუხისმგებლობის დაკისრებაზე გადაწყვეტილებას უნდა იღებდნენ არა შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროს ორგანოები, არამედ სასამართლო**, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლის მიხედვით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს **პრაქტიკა** ადგენს, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური უფლებები, რომელიც ვრცელდება სისხლის სამართლებრივი ბრალდების ცნებაზე, ასევე ვრცელდება სისხლისსამართლებრივი ბუნების მქონე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

შესაბამისად, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, უნდა გადამოწმდეს არა მხარის მიერ ოქმის გასაჩივრების შემთხვევაში, არამედ სავალდებულოდ უნდა გადიოდეს სასამართლო კონტროლს, ისევე, როგორც ეს სხვა სამართალდარღვევების შემთხვევაშია, რომელთა განმეორებით ჩადენა, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს (მაგ. ცივი იარაღის ტარება, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებით ასევე განისაზღვრა, რომ იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს პრევენციული ღონისძიების გასატარებლად გადაიყვანოს პირი შესაბამის სივრცეში მოსათავსებლად, რაც არ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ჩაითვლება დაკავებულად. მართალია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის **რეალური** ქვეპუნქტი უშვებს შესაძლებლობას კანონით დადგენილი პროცედურების დაუცველად მოხდეს პირისთვის თავისუფლების აღკვეთა გადამდებ დაავადებათა გავრცელებისგან თავის ასარიდებლად, ხოლო **ფორმალური** ჯანმრთელობის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი უშვებს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, თუმცა ამ წესით შესაბამის სივრცეში გადაყვანის პირს სრულად არ განემარტება მისი უფლებები, არ აქვს იურიდიული დახმარების მიღებისა და საჩივრის ან სარჩელის წარდგენის ეფექტური შესაძლებლობა, რაც მას ხელს უშლის უფლების დაცვის რეალიზებაში.

სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებები

ხარვეზიანია სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებაც, რომლის თანახმად, იზოლაციის ან/და კარანტინის წესის, ისე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის განმეორებით დარღვევისთვის დგინდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. განხორციელებული ცვლილებიდან არ ირკვევა და შესაბამისად, **ბუნდოვანია, როგორ დაიწყება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირობებში, როდესაც პირის მიმართ შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მაგრამ ის არ შესულა ძალაში**, რადგან სახდელდადებულ პირს არ გამოუყენებია გასაჩივრების შესაძლებლობა იმის გამო, რომ საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 **დადგენილების** მე-13 მუხლის პირველი პუნქტით, შეჩერებულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები. ამდენად, ამ შემთხვევაში ცვლილებები საჭიროებდა მეტ სიცხადეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებით დადგინდა პასუხისმგებლობა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისთვის, ხოლო სასჯელად განისაზღვრა ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთა, თუ პრეზიდენტის დეკრეტით სხვა რამ არ არის დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 **დეკრეტის** მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასჯელად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით და შესაბამისად, ამ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სწორედ ეს სასჯელი იქნება გამოყენებული.

რაც შეეხება ამ ცვლილებით სისხლის სამართლის კოდექსში ასახულ სასჯელს, ის არაპროპორციულია იმ შემთხვევებისთვის, როდესაც რეჟიმის დარღვევას მნიშვნელოვანი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ზიანი არ გამოუწვევია. შესაბამისად, აუცილებელი იყო საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისთვის მეტად პროპორციული სასჯელის დაწესება, ხოლო თუ რეჟიმის დარღვევას მოჰყვა მნიშვნელოვანი ზიანი, ამ შემთხვევაში, მკაცრი პასუხიმგებლობის გამოყენება.

ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ ამ ქმედებაზე სასჯელის სახით ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, მას მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში აქცევს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ის არ უნდა ჩაითვალოს მძიმე კატეგორიის დანაშაულად, რადგან პრეზიდენტის დეკრეტით მხოლოდ სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა სასჯელის სახით გათვალისწინებული. შესაბამისად, **არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო მოქმედებები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე (მათ შორის ფარული საგამოძიებო მოქმედებები).**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საია უარყოფითად აფასებს აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების პროცესის დახურულად, დაინტერესებული პირების ჩართულობის გარეშე წარმართვას და მიიჩნევს, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების ნაწილი ბუნდოვანია, ხოლო ნაწილი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ და განმტკიცებულ ადამიანის უფლებების სტანდარტებს.